

2014 წლის 24 დეკემბრიდან, ინტერნეტ-გვერდზე [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge) განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 50-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **პუნქტი 50**

#### **1. 3D Security (3D კოდი)**

კლიენტს შეუძლია ბარათს მიანიჭოს ასევე 3D კოდი (3D Security), რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს. 3D კოდი გამოიყენება “Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ-გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას. 3D კოდი ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის.

ბანკის რეკომენდაციაა, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია.

პროკრედიტ ბანკის VISA და MasterCard ბარათებზე 3D კოდის მინიჭება ხდება უშუალოდ ბარათის მფლობელის მიერ ინტერნეტ შესყიდვის განხორციელებისას, კერძოდ როდესაც შესაბამის ვებ-გვერდზე (“Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსით) კლიენტი შეძენის მიზნით ირჩევს სასურველ პროდუქციას ან მომსახურებას, ბარათის ინფორმაციის დაფიქსირების შემდეგ მოხდება ავტომატური გადამისამართება ვებ-გვერდზე (<https://vbv.procreditbank.com>), სადაც შესაძლებელი იქნება კლიენტმა გაიაროს შებამის რეგისტრაცია და მიანიჭოს ბარათს სასურველი 3D კოდი.

რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- ა. ბარათის მფლობელის დაბადების თარიღი;
- ბ. ბარათის მფლობელის პირადი ნომერი;
- გ. ბარათის მფლობელისათვის ბანკში მინიჭებული კლიენტის ნომერი;
- დ. ბარათის მოქმედების ვადა;

ბარათზე 3D კოდის მინიჭების პროცესის გავლა საჭიროა მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი გამოყენება ხდება ყოველი ინტერნეტ შესყიდვის დასადასტურებლად „Verified by VISA“ და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე. 3D კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოხდება არსებული 3D კოდის დაბლოკვა.

კლიენტს შეუძლია 3D კოდის დავიწყების ან დაბლოკვის შემთხვევაში, დაუკავშირდეს დისტანციური ბანკინგის ქვეგანყოფილებას \*2222, +995 32 220 22 22.

2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-19 მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **პუნქტი 2**

#### **პინ-კოდი:**

2.1. პინ-კოდი წარმოადგენს პერსონალური იდენტიფიკაციის 4-ციფრიან ნომერს. პინ-კოდი არის კონფიდენციალური. ის მხოლოდ კლიენტისთვისაა ცნობილი და ევალება დაიცვას მისი საიდუმლოება. უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი:

- პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, ბანკის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;

- პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;
  - პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება;
  - პინ-კოდის გამჟღავნება ელ. ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
  - პინ-კოდის გამოყენება, გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა.
- 2.2. აღნიშნული მითითებების გათვალისწინება არის უსაფრთხოების გარანტია ბარათის გაყალბების და/ან ფულადი სახსრების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით.
- 2.3. ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.

### პუნქტი 3

3D Security (3D კოდი) წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას, რომელიც “Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ-გვერდებზე შესყიდვების დადასტურებას მოითხოვს 3D კოდით. 3D კოდი წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს, რომელიც ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის. ბანკის რეკომენდაციაა, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ და/ან „MasterCard SecureCode“ სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია. უსაფრთხოების მიზნით (3D კოდის თავისებურებათა გათვალისწინებით) ასევე აკრძალულია მე-2 პუნქტში მითითებული ქმედებები.

### პუნქტი 6

**პლასტიკური ბარათის გამოყენება ინტერნეტის საშუალებით:**

6.1. ინტერნეტში შესაძლებელია პროკრედიტ ბანკის ვიზა კლასიკის, ვიზა ბიზნესისა და მასტერქარდ სტანდარტის ტიპის ბარათების გამოყენება.

6.2. ინტერნეტში შესყიდვის შესასრულებლად საჭიროა ბარათის სრული ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი და, ასევე, ხელმოწერის გრაფაში არსებული ბოლო სამი ციფრი: CVV2/CVC2 კოდი Card Verification Value – ბარათის ვერიფიკაციის მნიშვნელობა) და/ან 3D კოდი.

CVV2 კოდი გააჩნიათ ვიზას ტიპის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო CVC2 კოდი გააჩნიათ მასტერქარდის ტიპის ბარათებს.

უსაფრთხოების მიზნით აკრძალულია:

- ბარათის გადაცემა სხვა პირისთვის ან ბარათზე არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, ვინაიდან გაცემული ინფორმაცია საკმარისი იქნება არა ავტორიზებული შესყიდვებისთვის.

უსაფრთხოების მიზნით სასურველია:

- ბარათი გამოყენებულ იქნას მხოლოდ დაცულ და ნაცნობ ვებ-გვერდებზე, სადაც მოითხოვება CVV2/CVC2 და/ან 3D კოდით შესყიდვის დადასტურება. დაცული ვებ-გვერდები ძირითადად იწყება https და არა http. ასევე, დაცულ ვებ-გვერდებზე ყოველთვის არსებობს დაცვის სისტემის ნიშნები “Verified by VISA”, “MasterCard SecureCode” და ა.შ.

- კლიენტმა მუდმივად უნდა გააკონტროლოს ბარათის შენახვის ადგილი და ასევე, ბარათზე კლიენტის მიერ შერჩეულ ძირითად ანგარიშზე თანხების ბრუნვა. კონტროლი შესაძლებელია ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით, ასევე SMS მომსახურებით. SMS მომსახურებისას კლიენტი მიიღებს ინფორმაციას ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

ამასთანავე, ბანკი თავისი ინიციატივით არასდროს დაუკავშირდება კლიენტს ბარათის სრული ნომრის, პინ-კოდის ან CVV2/CVC2 და/ან 3D კოდის დასაზუსტებლად.